

ენობრივი მსაზღვრელის მნიშვნელობა საბჭოთა ეპოქაში ქართული იდენტობისთვის (1978 წლის 14 აპრილის მაგალითზე)

საკვანძო სიტყვები: იდენტობა, ენა, ერი, სსრკ, კონსტიტუცია, ქართული საზოგადოებრივი აზრი

Keywords: Identity, Language, Nation, USSR, Constitution, Georgian public opinion

წინამდებარე სტატიაში საუბარია საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში 1978 წელს ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვასთან დაკავშირებულ მოვლენებზე, რაც გამოწვეული იყო, კონსტიტუციიდან იმ საკანონმდებლო მუხლის ამოღებით, რომელიც ქართულს სახელმწიფო ენის სტატუსს ანიჭებდა. როგორც ცნობილია, წარსულში და დღესაც, ქართული ენა, ჩვენი ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია. აღნიშნული ქმედებით კი საბჭოთა ტოტალიტარული სისტემა ისწრაფვოდა რუსიფიკაციის პოლიტიკის გატარებისა და ეროვნული იდენტობის წართმევისკენ. მათი საბოლოო მიზანი საბჭოთა ხალხის ჩამოყალიბება იყო, რომელსაც ერთი საერთო ენა უნდა ჰქონოდა. ეს ენა, რუსული უნდა ყოფილიყო. ქართული საზოგადოების კონსოლიდაციის წყალობით მათში ეროვნული თვითშეგნების გაღვიძებით, შესაძლებელი გახდა ქართული ენის დაცვა და ასევე სტიმული მიეცა ეროვნული მოძრაობის ახალი ტალღის წამოწყებას. ჩემი სურვილია, სტატიის მკითხველთან ერთად, კიდევ ერთხელ თვალი მივადევნოთ, 45 წლის წინ მიმდინარე მოვლენებს და რიც ეპიზოდებს განსხვავებულად შევხედოთ, გავაკეთოთ ახალი ინტერპრეტაცია და ახლებური ანალიზი, რაშიც დაგვეხმარება, ენის რაობის ახსნა, გერმანელი ქართველოლოგის, ვინფრიდ ბოედერის, შეფასება, იმასთან დაკავშირებით, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველობისთვის მშობლიურ ენას ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში. აგრეთვე ვნახავთ, როგორ ესახებოდა, თავის დროზე ენობრივი საკითხის გადაჭრა ვლადიმერ ლენინს (ულიანოვს), როგორი იყო სახელმწიფო ენის ფორმულირება სხვა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველო, თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანაა, გვაქვს დედაენის დღე, 14 აპრილი, აგრეთვე, დავუდგით ძეგლი, ამ მართლაც ეროვნულ საუნჯეს, თითქოს სათანადოდ მაინც ვერ ვაფასებთ და ვუფრთხილდებით ქართულ ენას, რომელმაც დიდი ქართველები გამოიარა სხვა კულტურულ ენებთან ჭიდილში და მოაღწია ჩვენამდე.

ქართული იდენტობის ჩამოყალიბება არის პროცესი, რომელიც იწყება უძველეს პერიოდში და გრძელდება დღემდე, მის შესასწავლად სხვადასხვა ტიპის წყაროს გამოყენება არის შესაძლებელი, მაგრამ წყაროს ტიპის არჩევანს, პირველ რიგში, საკვლევი პერიოდის ქრონოლოგიური ჩარჩო განაპირობებს. ვეხებით რა ქართული ერთობის, იდენტობის მოდერნულ პერიოდს, აღნიშნულის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბეჭდურ მედიას, სამეცნიერო ნაშრომებს, ცნობილ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა მემუარებს. ამ ტიპის წყაროებში აღწერილია ქართული კულტურული და პოლიტიკური ელიტის იდეები, შეხედულებები, მათი დამოკიდებულება სხვადასხვა საკითხის მიმართ. ასევე გადმოცემულია საზოგადოების აზრი და მიმდინარე პროცესებში ჩართულობა. აქედან გამომდინარე, სწორედ ასეთ წყაროებზე გაკავთებით ძირითად აქცენტს.

როგორც ცნობილია, ადამიანის არსებობა დაკავშირებულია საზოგადოებრივ საქმიანობასთან. აღნიშნული კი წარმოდგენილია ადამიანებს შორის კომუნიკაციის გარეშე. კომუნიკაციის უმთავრესი საშუალება გახლავთ ენა, რომელიც წამყვან როლს ასრულებს ჩვენი გამოცდილების, ემოციებისა და განცდების გამოსახვასა და ტრანსფორმირებაში. როდესაც ამა თუ იმ ენაზე ვსაუბრობთ, აშკარაა, რომ ენა არ არის მხოლოდ სიტყვების მარაგი, უპირველეს ყოვლისა, ენა არის ამ ენაზე მოსაუბრე ადამიანების კულტურული ტრადიციები და მათი ისტორიული მეხსიერება, რაც უფრო ხელშესახებია.

ჩვენ ენაში უნდა დავინახოთ გზა, რომლის მეშვეობითაც შეგვიძლია, შევალწიოთ ერის მენტალობაში. ამის შემდეგ კი ვულრმავდებით უძველესი ადამიანების წარმოდგენებს მსოფლიოს, საზოგადოებისა და საკუთარი თავის შესახებ. წინა საუკუნეების გამოძახილი, ენობრივი კუთხით შემონახულია გამონათქვამებში, კულტურულ სიმბოლოებში, ანდაზებში, მეტაფორებში, ფრაზეოლოგიზმებსა და ა.შ.

„ქართული ერთობისათვის ენის მაკონსოლიდირებელ იმპულსს კარგად აჩვენებს უახლოესი წარსული: 1978 წელს საბჭოთა იმპერიის ფარგლებში მყოფი ქართველობის მძლავრი საპროტესტო გამოსვლა უკავშირდება სწორედ ენას და მის სახელმწიფოებრივ სტატუსს. ქართული ენა იქცა ქართული ერთობის უმთავრეს, შემაკავშირებელ ფაქტორად. ქართული ლინგვისტური ნაციონალიზმის თვალსაჩინოებად დასავლელი მკვლევრები აფიქსირებენ არაერთ ფაქტს და მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართველებს ახასიათებთ სრულიად განსაკუთრებული დამოკიდებულება ენისადმი“ (ჩხარტიშვილი, მანია 2018: 4).

თანამედროვე დასავლელ ქართველოლოგთა შორის, გამორჩეული ადგილი ეკავა ცნობილ გერმანელ ენათმეცნიერს, ოლდენბურგის უნივერსიტეტის პროფესორ ვინფრიდ ბოედერს, რომელიც გასულ წელს, 2023 წლის 24 დეკემბერს გარდაიცვალა, 86 წლის ასაკში. განსაკუთრებით დასაფასებელია მისი ღვაწლი იმ მხრივ, რომ მან თავისი ცხოვრების ნახევარზე მეტი მიუძღვნა ქართულ ენობრივ სინამდვილეს და დაგვიტოვა უამრავი გამოკვლევა ქართველური ენების სტრუქტურის და ისტორიის მნიშვნელოვან საკითხებზე. რომელთაგან შეგვიძლია აღვნიშნოთ: „ძველი ქართული ანბანის ანალიზი“; „ქართველური ენების

წოდებითის შესახებ“; „ქართული და მონათესავე ენები ევროპის საზღვართან“; „ენა და ვინაობა ქართველთა ისტორიაში“; „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“ და ა.შ.

ვფიქრობ, საინტერესოა 2002 წელს ქართველი პოეტის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ცირა ბარბაქაძის ინტერვიუ ვინფრიდ ბოედერთან, სადაც გერმანელი ქართველოლოგი საუბრობს იმაზე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისთვის მშობლიურ ენას. განმარტებას აკეთებს გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“, ასახულ ერთ დეტალზე: „ქართლად ფრიადი ქუეყანად აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულების“. ბოედერის აზრით, სწორედ აქ ჩანს, რომ ქართულ ენას პრობლემა გაუჩნდა, რადგან სხვა შემთხვევაში ქართველები ენაზე საუბარს არ დაიწყებდნენ. შესაბამისად, ენა ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძვლის მნიშვნელოვანი ნიშანი ყოფილა (ბარბაქაძე 2011: 1). გერმანელი ქართველოლოგის მსჯელობა ნამდვილად არ არის აზრს მოკლებული, მითუმეტეს იმის ფონზე, რომ იმ პერიოდში, ქართულ პოლიტიკურ დღის წესრიგს ბიზანტიის იმპერია განსაზღვრავდა, ყველა იმპერიას კი თავისი იმპერიალისტური ზრახვები ამოძრავებს. იმ დროს საქართველო არ იყო გაერთიანებული და სამეფო-სამთავროებად გახლდათ დაყოფილი, თუმცა აღნიშნულს ხელი არ შეუშლია, რომ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ დაწერამდე, ერთი საუკუნით ადრე, IX საუკუნისათვის ბერძნული დამწერლობა მთელი საქართველოს მასშტაბით ქართულით შეცვლილიყო. პოლიტიკურად ერთიანი საქართველოს წარმოშობამდე კი ქართული სამოციქულო ეკლესია გაერთიანებულიყო. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ გიორგი მერჩულეს ეს წინადადება ემსახურება იმის გამოკვეთას, რომ საქართველო მარტო ქართლი კი არ არის, არამედ საქართველოა ის ტერიტორიებიც, სადაც ღვთისმსახურება ქართულ ენაზე მიმდინარეობს, რაც ერთგვარად იმაზე მიანიშნებს, რომ გაერთიანების წინაპირობები დასკვნით ფაზაში შედის. ბუნებრივია, ეს არ შედიოდა გარეშე ძალის გეგმებში და სავარაუდოდ, ბერძნული ენისა და კულტურის წინა პლანზე წამოწევით ცდილობდა, დაეთრგუნა ქართველების ეროვნული თვითშეგნება.

ბოედერმა აგრეთვე შეისწავლა მე-17 საუკუნეში ქართულად თარგმნილი წიგნები. „მათ არა მხოლოდ პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდათ (მაგ. მედიცინის წიგნი), არამედ ქართველები დაინტერესებული იყვნენ ქართულ ენაზე წიგნების არსებობით, რადგან წიგნი მაინც განათლებისთვისაა დანიშნული“ (ბარბაქაძე 2011: 1). მშობლიურ ენაზე განათლების მიღება ზრდის ხალხში წიგნიერების და კულტურის დონეს, აღვივებს პატრიოტულ გრძნობებს და ნერგავს უკეთესი მომავლის რწმენას.

ერის ცხოვრებაში ენის როლის უფრო კარგად გააზრებაში დაგვეხმარება ვინფრიდ ბოედერის სტატია: „ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე“, სადაც ავტორი წერს: „იმისათვის, რომ ენა ვინაობის მიმცემად მოგვევლინოს ცნობიერებაში, განსაკუთრებული ისტორიული პირობებია საჭირო. მაგრამ ისიც უდავოა, რომ საკუთარი ენა ვინაობის დადგენის ერთ-ერთი უმნიშვნელო-

ვანესი საშუალებაა: ის ყოველთვის ხელთ გვაქვს და უმეტეს შემთხვევაში, ადვილად შეიცნობა „განსხვავებულად“. ის თვით უმცირეს სოციალურ ჯგუფებსაც კი განასხვავებს და მის გამოყენებას შეუძლია უფაქიზესი ნიუანსებით მოახდინოს ერთობის გრძნობის აღძვრა“ (ბოედერი 2005: 53).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც მოდერნიზებული რუსულ იმპერიას წარმოადგენდა, ენობრივ პოლიტიკას ორი ძირითადი მიმართულებით ატარებდა. ერთი მხრივ, ოფიციალურად აღიარებდა მოკავშირე რესპუბლიკების ნაწილში მათ ეროვნულ ენებს სახელმწიფო ენად, რასაც გარკვეულ ეტაპზე პოლიტიკური და იდეოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა საქმის ისე წარმოსაჩენად, თითქოს საბჭოთა კავშირში გაერთიანებული ერები ინარჩუნებდნენ თავიანთ თვითმყოფადობას და უზრუნველყოფილი იყო სრული ენობრივი თანასწორობა, ხოლო მეორე მხრივ, საკავშირო ხელისუფლების ორგანოების სამუშაო ენას ფაქტობრივად რუსული წარმოადგენდა. ამასთანავე, რუსული ენა განიხილებოდა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მცხოვრებ ხალხთა შორის ურთიერთობის ენა.

ამგვარი ენობრივი პოლიტიკის გავლენით ჩამოყალიბდა იმდროინდელი საკანონმდებლო აქტებიც. რუსული ენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის არც ერთი კონსტიტუციით (1924, 1927, 1936, 1978 წწ.) სახელმწიფო ენად არ იყო აღიარებული, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგალითად საქართველოში, ქართული ენა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ოთხივე კონსტიტუციით (1922, 1927, 1937, 1978 წწ.) აღიარებული იყო, როგორც სახელმწიფო ენა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ენას კონსტიტუციით სახელმწიფო ენის სტატუსი არ ჰქონია მინიჭებული, აღნიშნული სრულებითაც არ ნიშნავდა მისი უფლებების შეზღუდვას. საბჭოთა კავშირში, რუსული ენა ისედაც სარგებლობდა დიდი პრივილეგიებით, რადგან ბუნებრივია, როდესაც გარკვეული სახელმწიფოს ენა (მითუმეტეს დიდი სახელმწიფოსი), ამ შემთხვევაში რუსეთის, მოქცეული არ არის საზღვრებში, სხვა პატარა ერთა ენის შეზღუდვის ალბათობაც მეტია. სწორედ ამ მიზეზით არ იცნობდა სახელმწიფო ენის ცნებას, არც რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია და არც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის საერთო საკავშირო კონსტიტუცია. სხვათა შორის, თავის დროზე, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის განსაზღვრის წინააღმდეგი, თავად ვლადიმერ ლენინი (ულიანოვი) იყო, რადგან მისი აზრით, აღნიშნული იქნებოდა ძალდატანება არარუს ერებზე, მაგრამ ლენინმა ისიც კარგად იცოდა, რომ რუსული ენით მაინც შეიზღუდებოდა სხვა ერების ენობრივი უფლებები. ამის დასტურად შეგვიძლია მისი სიტყვები მოვიშველიოთ: „ასიათასობით ადამიანი გადაადგილდება რუსეთის ერთი ბოლოდან მეორეში, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ითქვიფება. ვინც თავისი ცხოვრებისა და სამუშაო პირობების გამო საჭიროებს რუსული ენის ცოდნას, ის ისედაც ისწავლის მას ჯოხის გარეშე. ძალდატანება კი მხოლოდ გაართულებს რუსული ენის შეღწევას სხვა ნაციონალურ ჯგუფებში“ (Ленин 1973: 293). მაშ, რა შეიცვალა, მე-20 საუკუნის 70-იან წლებში?! თვისობრივად,

არც არაფერი, უბრალოდ კრემლის მაშინდელმა ხელმძღვანელობამ, ირწმუნა მითი „საბჭოთა იმპერიის ძლიერებისა და ურღვეობის შესახებ“. აქედან გამომდინარე, მათ მიიჩნიეს, რომ საჭირო მომენტი იყო, საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებში შემავალი ხალხების ასიმილაციისათვის. ამას ადასტურებს ამონარიდი 1971 წელს კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობაზე ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვიდან: „სოციალიზმის გზაზე დამდგარ თანასწორუფლებიან ხალხთა ამ მძლავრი კავშირის შექმნაში, განმტკიცებასა და განვითარებაში თავისი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ყველა ერმა და ეროვნებამ, უწინარეს ყოვლისა, კი დიდმა რუსმა ხალხმა. ...სოციალისტური მშენებლობის წლებში, ჩვენს ქვეყანაში წარმოიშვა ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ხალხი... ამხანაგებო! კომუნიზმზე გადასვლისათვის საჭიროა მივალწიოთ არა მარტო ეკონომიკის, არამედ მთელი საზოგადოების კულტურის განვითარების უფრო მაღალ დონეს“ (ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის... 1971: 3-4). ამ დებულებამ დასვა საკითხი რუსული ენის, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ხალხთა ურთიერთობის ენის როლის შემდგომი ამაღლებისა.

საინტერესოა, თუ როგორ შეუდგნენ კრემლის იდეოლოგები სიტყვის საქმედ ქცევას. 1971 წლის შემდეგ, საზოგადოებრივი აზრის წინასწარ შემზადების მიზნით, საბჭოთა პრესაში გახშირდა დემაგოგიური სტატიების წერა, რისი ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება გახლდათ 1975 წლის გაზეთ „კომუნისტი“ 4 თებერვლის ნომერში, ვინმე ფილონოვიჩის სტატია, სათაურით: „საბჭოთა ხალხი ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობაა“, რომელშიც საუბარია, ასზე მეტ ერსა და ეროვნებაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ და უნდა იქცნენ ერთ ერად. „ეროვნული ტიხრების მსხვრევა, საბჭოთა ხალხის შემდგომი დაახლოებისათვის წინაპირობების ჩამოყალიბება ხდება, როგორც მატერიალურ ისე სულიერ სფეროებშიც. ...ყველა ეროვნების საბჭოთა ადამიანს აერთიანებს საერთო საქმე-კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა. იდეოლოგიისა და მორალის ერთობა, საერთო ტრადიციები“ (ფილონოვიჩი 1975: 2). „სტატიის ავტორი ტერიტორიის, ეკონომიკის, სულიერი სახის ერთობაზე რომ ლაპარაკობს, განგებ უვლის გვერდს ერისათვის დამახასიათებელ ისეთ აუცილებელ ნიშან-თვისებას, როგორიც ენის ერთობაა. თვით საბჭოური განმარტებითაც ერისათვის დამახასიათებელ ხუთ ნიშან-თვისებას შორის ერთ-ერთი მთავარი ენის ერთიანობაა და ეს, რა თქმა უნდა, კარგად მოეხსენება ფილონოვიჩსაც, მაგრამ, იგი განგებ გაურბის ამის ხსენებას, ვინაიდან მაშინ ნათელი გახდება მთელი იმ დემაგოგიის ნამდვილი არსი რომელსაც ფილონოვიჩი ავითარებს თავის სტატიაში“ (გავაშელი 1975: 9).

პროფესორი დიმიტრი შველიძე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით ფიქრობს, რომ „ეს იყო სრულიად შეუნიღბავი რუსიფიკატორული შოვინისტური დირექტივა, რომელიც მრავალრიცხოვანი რუსი ხალხის წიაღში სხვა მცირერიცხოვანი, მათ შორის – ქართველი ხალხის შერწყმა-გათქვეფას ქადაგებდა. კომუნიზმის მშენებელი „საბჭოთა ხალხის“ ერთადერთი და ბუნებრივი სახელმწიფო ენა რომ რუსული უნდა ყოფილიყო, ამის შესახებ დავაც კი გაჭირდე-

ბოდა. ისედაც პრიორიტეტული რუსული ენის შემდგომი განსაკუთრებულობის ფონზე, სხვა ენების, კერძოდ – ქართული ენის, ფუნქციონირება თანდათანობით შევიწროვდებოდა, შეიზღუდებოდა და ბუნებრივი კვდომის გზით განვითარდებოდა“ (შველიძე 2018: 415). ძნელია, რომ არ დავეთანხმოთ ცნობილი მეცნიერის მოსაზრებას.

იმისათვის, რომ რუსული ენა იურიდიულად საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადებულიყო და მის ოფიციალურ გამოყენებას მოკავშირე რესპუბლიკებში სამართლებრივი საფუძველი ჰქონოდა, კრემლის იდეოლოგებმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1977 წლის ახალ კონსტიტუციაში თავი აარიდეს სახელმწიფო ენის განსაზღვრის საკითხს. სამაგიეროდ იმ მოკავშირე რესპუბლიკებს, სადაც ენას სახელმწიფო სტატუსი ჰქონდა, მოსთხოვეს, ახალ კონსტიტუციებში ადგილობრივი ნაციონალური ენების სახელმწიფოებრივი სტატუსი აღარ გაეთვალისწინებინათ. თუ ეს ჩანაფიქრი წარმატებით შესრულდებოდა, მაშინ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციაში შეიტანდნენ დამატებას რუსული ენის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ და მთელს საბჭოეთში იგი უკვე იურიდიულად ერთადერთი სახელმწიფო ენა იქნებოდა.

ამ გეგმის განხორციელებას 1978 წელს შეუდგნენ. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციისაგან განსხვავებით, სადაც გარკვევით იყო ნათქვამი, რომ „საქართველოს სსრ სახელმწიფო ენა არის ქართული ენა“ (156-ე მუხლი), 1978 წლის 24 მარტს საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებულ, გაზეთ კომუნისტის 70-ე ნომერში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ახალი კონსტიტუციის პროექტში ქართული ენა საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენად უკვე აღარ იყო მოხსენიებული.

1978 წელს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტიდან ამოიღეს მუხლი სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ და გაჩნდა ახალი 75-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, რუსულ ენასა და სხვა ენებს, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობდა, თანაბარი უფლებები მიენიჭა. 75-ე მუხლი ასე იყო ფორმულირებული:

„საქართველოს სს რესპუბლიკა უზრუნველყოფს ქართული ენის ხმარებას სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში, კულტურულ და სხვა დაწესებულებებში და ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა ამ ორგანოსა და დაწესებულებაში, თანასწორუფლებიანობის საფუძველზე, უზრუნველყოფილია თავისუფალი ხმარება რუსული, აგრეთვე სხვა ენებისა, რომლებითაც მოსახლეობა სარგებლობს.

რაიმე პრივილეგიები ან შეზღუდვები ამა თუ იმ ენის ხმარებაში არ დაიშვება“ (საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1978: 2).

პროექტის ამ ნორმაში ყურადსაღები იყო ორი პრინციპული ხასიათის სი-
ახლე: 1) ქართული ენის სახელმწიფოებრივი სტატუსი გაუქმებული იყო, საქა-
რთველოს სახელმწიფო ენას კონსტიტუცია აღარ ადგენდა; 2) პირველად სა-
ქართველოს კონსტიტუციაში ქართული ენის თანაბარი სტატუსი ენიჭებოდა
რუსულ ენას.

სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავ-
შირის სამ რესპუბლიკაში არსებობდა: საქართველოში, სომხეთსა და აზერბაი-
ჯანში. აქედან გამომდინარე 1978 წლის ახალი კონსტიტუციით, ქართულთან
ერთად სახელმწიფო ენის სტატუსი უნდა ჩამოერთმეოდა სომხურსა და აზერბაი-
ჯანულსაც. შესაბამისად, სახელმწიფო ენის ფუნქცია საბჭოთა სოციალისტუ-
რი რესპუბლიკების კავშირში, მხოლოდ რუსულს უნდა შეესრულებინა.

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ ენასთან მიმართებით დაწერილ გა-
ნმარტებებში, მხოლოდ ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებს აქვთ გა-
ნსაზღვრული სტატუსი, მაგ. „ქართული ენა, საქართველოს სსრ სახელმწიფო
ენა“ (დიდიგური 1986: 475); „სომხური ენა, სომხეთის სსრ, სახელმწიფო ენა“ (რო-
ბაქიძე 1985: 472); „აზერბაიჯანული ენა, აზერბ. სსრ სახელმწ. ენა“ (ჯანგიძე 1975:
203). სხვა არცერთი საბჭოთა რესპუბლიკის, ენის განმარტებაში, არ ვხვდებით
სტატუსს – სახელმწიფო ენა.

დამატებითი არგუმენტაციისათვის დაგვეხმარება სომხეთისა და აზერბაი-
ჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციები, რომლებიც
1978 წლამდე იყო მიღებული.

1939-1969 წლების, სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონ-
სტიტუციაში ვკითხულობთ: „მუხლი 119. სომხეთის სსრ სახელმწიფო ენა არის
სომხური“ (Конституция Армянской ССР 1939-1969: 26).

რაც შეეხება აზერბაიჯანულ ენას, მას სახელმწიფო ენის სტატუსი 1957 წელს
მიანიჭეს. რის შედეგადაც კონსტიტუციაში ასეთ ჩანაწერს ვხვდებით: „მუხლი
151. აზერბაიჯანის სსრ სახელმწიფო ენა არის აზერბაიჯანული ენა“ (Конституция
Азербайджанской ССР 1957: 31).

ამ შემთხვევაშიც გავიმეორებ და ვიტყვი, რომ საბჭოთა სოციალისტური
რესპუბლიკების კავშირის სხვა ქვეყნებში, გარდა საქართველოსი, სომხეთისა
და აზერბაიჯანისა, კონსტიტუციურად, ენის სტატუსი, როგორც – სახელმწიფო
ენა, განსაზღვრული არ ყოფილა. ერთადერთ გამონაკლისად შეგვიძლია, მივიჩი-
ნოთ თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1928 და 1936 წლე-
ბის ადრეული კონსტიტუციები, სადაც თურქმენული სახელმწიფო ენად იყო
აღიარებული, მაგრამ არა დამოუკიდებლად, არამედ რუსულ ენასთან ერთად.
„მუხლი 18. თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწი-
ფო ენებად ითვლება თურქმენული და რუსული“ (Конституция Туркменской ССР
1928: 10). „მუხლი 23. თსსრ სახელმწიფო ენებად დგინდება თურქმენული და რუ-
სული“ (Конституция Туркменской ССР 1936: 9). სხვა რესპუბლიკების კონსტიტუ-
ციებში, უბრალოდ მითითებული იყო, რომ კანონები, განკარგულებები და ა.შ.
ქვეყნდებოდა მათი რესპუბლიკის ენაზე და რუსულ ენაზე. მაგ. ლიტვის სსრ-ში
ლიტვეურსა და რუსულზე, მოლდავეთის სსრ-ში მოლდავეურსა და რუსულზე და
ა.შ.

აქვე, საკითხის უფრო ღრმად გასააზრებლად და იმის ანალიზისთვის, თუ როგორ მუშაობდა საბჭოთა აგიტაცია-პროპაგანდის მანქანა, უნდა მოვიშველიოთ გაზეთ კომუნისტის 1978 წლის 23 მარტის 69-ე ნომერი, სადაც პირველ გვერდზე სათაურით: „კონსტიტუციების პროექტების შესახებ“, განხილულია ყაზახეთის, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკებში მიმდინარე პროცესები, ახალი კონსტიტუციის მიღებასთან დაკავშირებით:

„ბაქოში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიბიუროს წევრობის კანდიდატის, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავჯდომარის გ.ა. ალიევის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა.

კომისიამ განიხილა და ძირითადად მოიწონა პროექტი და მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეიტანოს წინადადება, რომ აზერბაიჯანის სსრ კონსტიტუციის პროექტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

21 მარტს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის საკითხი. მოხსენება გააკეთა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარემ ი.ს. დემირჭიანმა.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ძირითადად მოიწონა საკონსტიტუციო კომისიის მიერ წარმოდგენილი კონსტიტუციის პროექტი და გადაწყვიტა გაიტანოს იგი რესპუბლიკაში საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. მიღებულია ბრძანებულება, რომ აპრილში მოწვეულ იქნეს სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე სესია“ (კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1978: 1).

ზემოთქმულიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო ენის სტატუსი საბჭოთა კავშირში სულ სამ რესპუბლიკაში, საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში არსებობდა, ვფიქრობ ნათელია, თუ რას ემსახურებოდა გაზეთის აღნიშნულ ნომერში მოყვანილი ამიერკავკასიის ერებში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებთან დაკავშირებული მაგალითი, რომელიც მიმართული და გამიზნული იყო ქართული საზოგადოების ფართო ნაწილისკენ, რათა მათ დაენახათ, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტში უჩვეულო, სახეცვლილი არაფერი იყო და სომხეთსა და აზერბაიჯანში, პროცესი მშვიდად მივიდოდა სასურველ შედეგამდე.

აგრეთვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველოში განვითარებულმა მოვლენებმა და სახელმწიფო ენის სტატუსის შენარჩუნებამ, დადებითად იმოქმედა სომხეთის და აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებზეც, რადგან მათაც მოახერხეს თავიანთ კონსტიტუციებში, სახელმწიფო ენის სტატუსის, ფორმულირების შენარჩუნება.

მეტი თვალსაჩინოებისათვის, კარგი იქნება, გავცნოთ გასული საუკუნის 70-იანი წლების საზოგადოების შეხედულებებს და აზრს ახალი კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლთან დაკავშირებით. კონსტიტუციის განხილვები მოეწყო, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ენათმეცნიე-

რების ინსტიტუტში, მწერალთა კავშირში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ლიტერატურის მუზეუმში. რუსული ენის რეალური სტატუსი ამ დისკუსიის დროსაც გამოიკვეთა. საზოგადოების ნაწილი შეგუებული იყო არსებულ მდგომარეობას. პროექტის განხილვისას ცკ-ში გამართულ სხდომაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, ევგენი ხარაძემ თქვა: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ ჩვენი სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა. ...ჩვენში უკვე ყველა განათლებულმა ადამიანმა იცის რუსული და სხვა სახელმწიფო ენა არ გვჭირდება“ (ბაქრაძე 2005: 457-458).

ქართული ენის სტატუსთან დაკავშირებით, პირველმა ვინც აიმაღლა ხმა 75-ე მუხლის წინააღმდეგ, აკაკი ბაქრაძე იყო. ამ მოღვაწეს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა მაშინდელ საზოგადოებაზე, სტუდენტ-ახალგაზრდებზე. მას უსმენდნენ და მის აზრს ითვალისწინებდნენ.

1978 წლის 23 მარტს საქართველოს კპ ცკ-ში პროპაგანდის განყოფილების გამგის გიორგი ბედინეიშვილის თათბირს ესწრებოდნენ მიწვეული სტუმრები, მათ შორის, აკაკი ბაქრაძეც, რომელმაც აღნიშნულ თათბირზე თქვა: „ამგვარ ცვლილებას ქართველი საზოგადოება დადებითად არ შეხვდება. ჩვენი ხალხი არ დაუშვებს ქართული ენის კონსტიტუციურ შეურაცხყოფას. ამან შეიძლება ძალიან ცუდი ნაყოფი გამოიღოს. ამიტომ უმჯობესია აღვადგინოთ ის, რაც ეწერა ძველ კონსტიტუციაში, და ამოვიღოთ ეს საექვო 75-ე მუხლი“ (ბაქრაძე 2005: 454).

ქართული ენისთვის სახელმწიფოებრივი სტატუსის წართმევის მიზეზად მთავრობის მხრიდან თანასწორუფლებიანობის დაცვა სახელდება. „სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში არ ყოფილა მუხლი სახელმწიფო ენის შესახებ. ამიტომ ყველა რესპუბლიკა ერთნაირ მდგომარეობაში რომ იყოს, გადაწყვიტეს ის პუნქტი, სადაც სახელმწიფო ენაზეა ლაპარაკი, ამოეღოთ“ (ბაქრაძე 2005: 454).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის პროფესორი რევაზ სირაძე, საქართველოს სსრ საკონსტიტუციო კომისიის წევრებს წერდა:

„საქართველოს სსრ კონსტიტუციის განსახილველ პროექტში არაა აღნიშნული, რომ ქართული ენა არის საქართველოს სსრ სახელმწიფოებრივი ენა, რაც მოუთმენლად უნდა ჩაითვალოს.

არასწორია დაკანონება იმისა, რომ რესპუბლიკის ეროვნული ენა არ იყოს მიჩნეული სახელმწიფო ენად.

ამიტომ კონსტიტუციის სათანადო მუხლში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ სახელმწიფო ენაა ქართული ენა“ (სირაძე 2018: 435).

ბუნებრივია, აკაკი ბაქრაძისა და რევაზ სირაძის მოსაზრებები ქართულ პრესას არ დაუბეჭდავს, რადგან განსხვავებულ აზრს, ცენზურა გასაქანს არ აძლევდა. კონსტიტუციის 75-ე მუხლის განხილვის დროს, მხოლოდ დადებითი შეფასებები ქვეყნდებოდა:

„კონსტიტუციის პროექტის 75-ე მუხლი სახელმწიფოსაგან მოითხოვს ბეჯითად ზრუნვას ჩვენი უდიდესი განძის, ჩვენი დედაენის ყოველმხრივი განვითარებისათვის. პროექტი აკანონებს ქართული ენის ფართო, შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას საზოგადოებრივი, სახელმწიფოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში. ...მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიული ცხოვრების მანძილზე ქართველობა სამაგალითო ჰუმანურობასა და შემწყნარებლობას იჩენდა ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები თუ დროებით შემოხიზნული სხვა ხალხების შვილების მიმართ, არ აკლებდა მათ მფარველობასა და კეთილდღეობისათვის ზრუნვას. საბჭოთა საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტიც თავიანთი ენებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლებას აძლევს აქ მცხოვრებ ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს. გულით ვინწონებთ სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტს“ (ბარამიძე 1978: 3).

ქართული საბჭოთა პერიოდული გამოცემები ყველაფერს ისე წარმოაჩენდნენ, როგორც ტოტალიტარული რეჟიმისთვის იყო მისაღები. ამის კარგი მაგალითია, 1978 წ. 31 მარტს, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული სტატია „ქართველ მწერალთა ხმა“, რომელშიც ეწერა: „ამ დღეებში რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. რესპუბლიკის მშრომელები ფართოდ განიხილავენ ახალ პროექტს, გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს და წინადადებებს. ...ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას მიეძღვნა მწერალთა კავშირში გამართული მიტინგი, რომელიც გახსნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა გიორგი ჟორჟოლიანმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ: საქართველოს მწერალთა კავშირის პარტიული ორგანიზაციის მდივანი, პოეტი მორის ფოცხიშვილი, მწერლები: იონა ვაკელი, რევაზ ჯაფარიძე, ნოდარ წულეისკირი, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნები ნოდარ დუმბაძე და ჯანსუღ ჩარკვიანი. „მწერლებმა აღნიშნეს ის საყოველთაო აღმავლობა, რაც კონსტიტუციის ახალი პროექტის გამოქვეყნებამ გამოიწვია. გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი და სურვილები“. ახალი კონსტიტუციის პროექტი განმსჭვალულია ადამიანზე ზრუნვით, რაც მწერლობას ავალებს კიდევ უფრო ღრმად ჩასწვდეს თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს, გვიჩვენოს საბჭოთა ადამიანის სულიერი სიმდიდრე და სილამაზე, მისი შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ, მისი პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი“ (ქართველ მწერალთა ხმა 1978: 1).

ამ სტატიით აღშფოთებული ნოდარ წულეისკირი წერდა: „შეიძლება კალმის წვერმა ამაზე მეტი სიცრუე დაწეროს? – პარტიიდან წავალ, თუ ამ კონსტიტუციას მიიღებენ-მეთქი! – აი, რა ვთქვი მე ამ მიტინგზე“ (წულეისკირი 1989: 8).

იმის გამო, რომ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ხელისუფლებამ არ გაითვალისწინა საზოგადოების აზრი, 1978 წლის 14 აპრილს თბილისში მოეწყო ხალხმრავალი დემონსტრაციები. მოქალაქეები, რომელთა უმეტესობასაც მაშინდელი სტუდენტი-ახალგაზრდები წარმოადგენდნენ, ინტელიგენციის ბევრ წარმომადგენელთან და სხვა უფროსი თუ უმცროსი თაობის ქართველთან ერთად, აპროტესტებდნენ კომუნისტური პარტიის მცდელო-

ბას, დედაენასთან დაკავშირებული, კონსტიტუციის მუხლის შესაძლო ცვლილებასთან დაკავშირებით.

ყველაზე მეტად აქტიურობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც შემდეგ უკვე შეუერთდნენ ახალგაზრდები სხვა ინსტიტუტებიდან. მათ დარაზმვაში, როგორც ზევით უკვე მოგახსენეთ, დიდი როლი ითამაშა აკაკი ბაქრაძის მოწოდებებმა. საინტერესოა, რომ სტუდენტებს თავიდან ასაკოვანი ადამიანები, გამვლელები, მოუწოდებდნენ, შეჩერებისკენ. უხსნიდნენ თუ როგორი საშიში შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის ეს ყველაფერი, მაგრამ შემდეგ უკვე თავადვე უერთდებოდნენ აქციას (შველიძე 2021: 293-295).

14 აპრილი დემონსტრაციისთვის შემთხვევით შერჩეული თარიღი არ ყოფილა. ამ დღეს განიხილებოდა კონსტიტუციის პროექტი და უნდა მომხდარიყო მისი დამტკიცება.

პირველი არხის ტელეოპერატორის, გურამ გაფრინდაშვილის მოგონებებში ამ დღესთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„14 აპრილს დილით ადრე, წავედი მთავრობის სასახლეში (ახლანდელი პარლამენტის შენობაში), მაშინ ამიერკავკასიის სამხედრო ჯარების მთავარი ოლქი მდებარეობდა თამარაშვილის (ყოფილი გურამიშვილის) ქუჩაზე. მე იმავე ქუჩაზე ვცხოვრობდი, დილით აქ ჯარისკაცები არ შემიმჩნევია, მაგრამ, როდესაც მთავრობის სასახლესთან მივედი, დავინახე ტანკები ჩიტაძის ქუჩაზე და პირველი საშუალო სკოლის (ახლანდელი გიმნაზიის) მხარეს. მინდა აღვნიშნო, რომ იმდენად ხშირად გვინევდა სამთავრობო სხდომებზე მუშაობა, თითქმის ყველა მათგანს ვიცნობდით, ისინიც გვცნობდნენ, ამიტომ ძალიან უშუალო და თბილი დამოკიდებულება გვქონდა. ღიმილით ვესალმებოდით ერთმანეთს. 14 აპრილს კი ასე არ მომხდარა. შეიმჩნეოდა დაძაბულობა მისალმებაშიც კი. ეს უარყოფითი მუხტი ყველას გადაგვედო“ (გაფრინდაშვილი 2018: 75).

1978 წლის 14 აპრილს განვითარებული მოვლენების თვითმხილველი გახლავთ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ლიდერი თამარ ჩხეიძე, რომელიც მაშინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი იყო. იგი თვლის, რომ „კაგებეს“ ქაოტურმა მოქმედებებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საყოველთაო ინფორმირებულობის გაზრდას, რადგან მათმა მოწოდებებმა: „გარეთ ცხვირი არ გაყოთ“, ძალაუწებურად იმ მასასაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ რაღაც მნიშვნელოვანი ხდებოდა, რომელიც სხვა მხრივ ინფორმირებული არ იყო. „სკოლების ადმინისტრაციას აფრთხილებდნენ, რომ არავინ არ წასულიყო დემონსტრაციაზე, ბავშვებს კარებს უკეტავდნენ, რომ შენობიდან არ გასულიყვნენ. სხვადასხვა დაწესებულების წარმომადგენლებს უკრძალავდნენ შენობის დატოვებას, უნივერსიტეტში კი საერთოდ ისტერიული მდგომარეობა იყო. ეს ატმოსფერო ხელს უწყობდა ინფორმაციის გავრცელებას. მათმა აკრძალვებმა და გაფრთხილებებმა უკუშედეგი გამოიღო: მაგალითად, სკოლის მოსწავლეები ფანჯრებიდანაც ხტებოდნენ და უერთდებოდნენ დემონსტრაციას“ (ჩხეიძე 2018: 236-237).

ქართველი ხალხის ერთობამ, მათმა ეროვნულმა კონსოლიდაციამ, მოახერხა ის, რომ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელმა პირველმა მდივანმა, ედუარდ შევარდნაძემ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე განაცხადა: „დავტოვოთ, შევინარჩუნოთ, ფორმულირება, რომელიც ითვალისწინებს სახელმწიფო ენად ქართული ენის გამოცხადებას“ (შევარდნაძე 2018: 90).

იმ დროს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტი, ნოდარ გრიგალაშვილი, აღნიშნულთან დაკავშირებით იხსენებს: „ჩემი მეხსიერებიდან არასოდეს წაიშლება ის მომენტი 1978 წლის 14 აპრილისა, როდესაც რუსთაველის გამზირზე მდუმარედ მდგომ, სმენაგამახვილებულ, თვალებში ნაღველჩასახლებულ ზღვა ხალხს უცებ ჩაესმა: „ქართული ენა რჩება საქართველოს სახელმწიფო ენად“. თითქოს მახარობელი დაბრუნდაო დიდგორის ბრძოლიდან, სადაც ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა“ (გრიგალაშვილი 2018: 103).

მაშინდელ ქართულ პრესას არაფერი დაუწერია 14 აპრილის გამოსვლაზე, რადგან ასეთი ფაქტის გახმაურება, საბჭოთა საზოგადოების თვალში ტოტალიტარული რეჟიმის სიძლიერეზე, უარყოფითად აისახებოდა. მაგრამ საინტერესოა რა ინფორმაციას გვაწვდის პრესა, 1978 წლის 14 აპრილის შემდეგ, ქართული ენის საკითხის კონსტიტუციაში განსაზღვრის თაობაზე. 21 აპრილის „ლიტერატურული საქართველოს“ ნომერში, უკვე დადებითადაა შეფასებული ის ფაქტი, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული და აღნიშნულია, რომ სახელმწიფო ყველა ღონეს იხმარს მისი განვითარებისათვის.

„ახლა რაც შეეხება ქართულ ენას. მე-19 საუკუნეში დაჩაგრულ, შევიწროებულ და ფეხქვეშ გათელილ ქართულ ენას დიდმა ოქტომბერმა დაუბრუნა კანონიერი უფლებები, აღადგინა იგი, უკეთ, რომ ვთქვათ, აღუდგინა ბუნებით მიცემული უფლება სიცოცხლისა და გამოაცხადა სახელმწიფო ენად. ...ახალი კონსტიტუციის პროექტში აღნიშნულია, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა და რომ რესპუბლიკა ახორციელებს სახელმწიფო ზრუნვას ქართული ენის ყოველი ღონისძიებით განვითარებისათვის. ...თავისთავად ცხადია, საბჭოური ცხოვრების წესის შესაბამისად, ჩვენი ქართული ინტერნაციონალური ტრადიციის შესაბამისად, ჩვენ უდიდესი პატივისცემით უნდა მოვეპყროთ მოძმე ხალხთა ენებს, მათ შორის, დიდი რუსი ხალხის ენას, ლენინის და პუშკინის ენას“ (ნატროშვილი 1978: 2).

ორი აზრი არ არის, რომ ცენზურის ნებართვის გარეშე ამ სტატიას დღის სინათლე ვერ ეღირსებოდა, შესაბამისად უნდა დავასკვნათ, რომ კრემლში იძულებულნი იყვნენ, შეჰკუებოდნენ მოცემულ ვითარებას და უკან დაეხიათ.

საბჭოთა პრესისგან განსხვავებით, 1978 წლის 14 აპრილს განვითარებულმა მოვლენებმა, გამოხმაურება პოვა ამერიკის შეერთებული შტატების პერიოდულ გამოცემებში. 1978 წლის 14 აპრილის მოვლენებს, „ნიუ-იორკ თაიმსმა“ (The New York Times), 15 აპრილს, მიუძღვნა სტატია: „საბჭოთა ქართველები ქუ-

ჩაში გამოვიდნენ სახელმწიფო ენის დასაცავად“: „ამერიკელები გაოცებულები არიან ამ ფაქტით. ეს ხდება იმ დროს, როდესაც შეზღუდულია სიტყვის თავისუფლება, როცა საშიშროებაა სამხედრო მანქანის ამოქმედებისა. ერთ-ერთი რესპოდენტი, დემონსტრაციის მონაწილე დაუფარავად ამბობს ინტერვიუში, რომ ღმერთს მადლობას შესწირავს, თუ მომიტინგეებს არ ესვრიან“ (ბაქანიძე 2018: 407). სტატიის ავტორი, ქრეიგ ვითნი, ქართული ენის საკითხთან დაკავშირებით, 18 აპრილსაც აქვეყნებს, სტატიას, სათაურით: „საბჭოთა ქართველებმა გაიმარჯვეს ენის საკითხში“ და ყურადღებას ამახვილებს, 14 აპრილს ორი ამერიკელი კონგრესმენის, რობერტ მაკეისა და ერიკ რეიმენის საქართველოში ჩამოსვლაზე: „ისინი პირდაპირ ქუჩაში ესაუბრებოდნენ პროტესტანტებს. მათი თქმით, საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას, ძირითადად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები იღებდნენ“. არ უნდა გამოგვრჩეს სტატიის არც ის ნაწილი, სადაც საუბარია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ედუარდ შევარდნაძესა და სტუდენტებს შორის გამართულ დიალოგზე: „შვილებო, რა გინდათ, რატომ აკეთებთ ამას? დემონსტრანტებმა კი წინა რიგებიდან ასე უპასუხეს: „ჩვენ არ ვართ შენი შვილები! სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნუ ეცდებით ასეთი „მამაშვილური“ საუბრით ჩვენი გულის მოგებას. უმჯობესია კონსტიტუციაში აღდგეს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსი, აგრძნობინეს სტუდენტებმა ხელისუფლებას“ (ბაქანიძე 2018: 408).

როდესაც 1978 წლის 14 აპრილს განვიხილავთ, აუცილებლად უნდა შევაფასოთ, განვითარებულ პროცესებში, საბჭოთა საქართველოს მაშინდელი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის როლი, როგორც მოვლენების მსვლელობისას, აგრეთვე ქართველი ერის სასიკეთოდ დასრულების საქმეში. აქვე გეტყვით, რომ ჩემს მიზანს არ წარმოადგენს შევარდნაძის უმიზეზო კრიტიკა ან ქება, არამედ მსურს ფაქტების საფუძველზე (რაც მყარი აქსიომაა) და ჩემი თვალთახედვით (ადამიანი მაინც სუბიექტია და უტოპიად მიიჩნევა, წარსულში მომხდარ ამბებზე, სრული ჭეშმარიტებით საუბარი) გაგიზიაროთ, ის თუ როგორ ვხედავ, იმ პერიოდის მოვლენებში ქვეყნის მეთაურის როლს. მეტი კონკრეტიკისთვის დავძენ: შევარდნაძეს განვიხილავთ მხოლოდ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს.

მით უფრო საინტერესოა ეს საკითხი იქიდან გამომდინარე, რომ დღემდე ორად იყოფა საზოგადოების აზრი, იმასთან დაკავშირებით თუ ვინ მიუთითა ქართველ ხალხს პირველად კონსტიტუციის ახალ პროექტში ენის სახელმწიფო სტატუსის მოსალოდნელი გაუქმების შესახებ. ერთნი ამას ედუარდ შევარდნაძეს მიაწერენ, მეორენი კი ქართულ დისიდენტურ მოძრაობას. თავშივე აღვნიშნავ, რომ 1978 წლის მოვლენები უნდა განვიხილოთ, როგორც პროცესი. ამ პროცესში შევარდნაძის როლის უგულვებელყოფა არაფრით არ შეიძლება, მაგრამ მისი როლი დადებითად უნდა შეფასდეს, განვითარებული მოვლენების დასკვნით ეტაპზე, როდესაც მისი გონივრული გადანყვეტილების წყალობით, ქვეყანამ თავიდან აიცილა აქციის სისხლისღვრით დასრულების საშიშროება

(სადაც, პირველ რიგში, საფრთხის ქვეშ იყო საქართველოს მომავალი თაობა) და შეინარჩუნა ენის საკითხში კონსტიტუციის ძველი ფორმულირება. რაც შეეხება საწყის ეტაპზე მის ინტერესს, იმის თაობაზე, რომ აღნიშნული გახმაურებულიყო, ეს არ მიმაჩნია სწორად და ყოველგვარ აზრს მოკლებული მგონია. საკითხს აქ მაღალი თანამდებობის საბჭოთა ფუნქციონერის თვალთ უნდა შევხედოთ და ისე გავაანალიზოთ.

აღნიშნულის გააზრება დავიწყით, გაზეთ „კომუნისტის“ 1978 წლის 23 მარტის ნომერში დაბეჭდილი სტატიის ნაწყვეტით, სადაც ვკითხულობთ: „22 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის. საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარის ამხ. ე.ა. შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელი კომისიის სხდომა. კომისიამ ძირითადად მოიწონა შეტანილი წინადადებანი და მიიღო გადაწყვეტილება განსახილველად წარუდგინოს ისინი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს“ (საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის... 1978: 1).

როგორც ვხედავთ, შევარდნაძე იყო საქართველოს სსრ კონსტიტუციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარე. ბუნებრივია, მან კარგად იცოდა, თუ რა მიზანს ემსახურებოდა ახალი კონსტიტუციის პროექტი, რაც თქვა კიდევ მოგვიანებით თავის მიერ დაწერილ მემუარებში: „1978 წლის კონსტიტუციის მთავარი მიზანი იყო, შეუქცევადი გაეხადა საერთო სახალხო საბჭოთა სახელმწიფოს ფორმირება, ერთიანი ენობრივი (რა თქმა უნდა, რუსული) სივრცით, ერთი მენტალიტეტით. მოკლედ, ეს იყო გზა ეროვნულობის დაკარგვისკენ, გარუსებისკენ“ (შევარდნაძე 2018: 84).

საბჭოთა საქართველოს ხელმძღვანელობის და მითუმეტეს, შევარდნაძის ინტერესებში, სახელმწიფო ენის სტატუსის გაუქმების გახმაურება რომ არ შედიოდა, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ რესპუბლიკის კონსტიტუციის განსახილველად გამოყვეს მცირე დრო, კერძოდ სამი კვირა. აგრეთვე ის ქაოსური მოქმედებები, რაც ტოტალიტარული სისტემის მხრიდან, თან ახლდა აღნიშნულს: „24 მარტს დილის გაზეთებში დაიბეჭდა საქართველოს სსრ-ის ახალი კონსტიტუციის პროექტი. იმავე საღამოს გაზეთებმა, რომლებიც 6-7 საათზე იყიდება, გამოაქვეყნეს ანგარიშები თუ როგორ ერთხმად მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი თბილისის ხორცკომბინატსა და სტალინის სახელობის ელმავალ შემკეთებელ ქარხანაში. ამ სპექტაკლის მომწყობთ ისიც კი დაავიწყდათ, რომ რადგან მუშები ამ დღესაც ისევე მუშაობენ, როგორც სხვა დღეებში, დროის უქონლობის გამო ვერ მოახერხებდნენ არამცთუ წაკითხულზე დაფიქრებას, არამედ მის წაკითხვასაც კი. ...შემთხვევითი ხალხით კრების ნაცბათევადა მოწყობა თუ სხვა საათზე დანიშვნა და სხვაზე ჩატარება... ჩატარება არა საერთო კრებისა, არამედ განყოფილებებში, ლაბორატორიებში, კათედრებზე თუ სამუშაოებში. ხალხის დაქსაქსვა, წინასწარ მომზადება გამომსვლელების. კრებათა ოქმების ფალსიფიცირება თუ გადამალვა, ყოველი ღონისძიებით თავზე

მოხვევა ოფიციალური აზრისა – იყო გეგმაზომიერი, მოფიქრებული და შორს გამიზნული პოლიტიკა“ (ბაქრაძე 2006: 32-33).

1978 წელს შევარდნაძეს არ შეეძლო წინ აღსდგომოდა მოსკოვის გადაწყვეტილებას, რადგან ეს უკვე სცდებოდა მის უფლებამოსილებას. თან მეორე ფაქტორიც არის, ალბათ თავისი პიროვნებიდან გამომდინარე ედუარდ შევარდნაძე ცკ-ს მდივნობისას, მიუხედავად მისი ქართველობისა, ვერ ვიტყვით, რომ პროქართულად განწყობილი კაცი იყო, მის პატრიოტულ სენტიმენტებსა და ეროვნულ თვითშეგნებაზე საუბარი ხომ საერთოდ ზედმეტია (ამ მხრივ იგივე, ვასილ მჭავანაძე, გარკვეულ საკითხებთან მიმართებით, გაცილებით მაღლა იდგა). იგი დამყოლი პარტიული ფუნქციონერი გახლდათ, რომელიც მოსკოვს მხოლოდ იმ შემთხვევაში „აწყენინებდა“, თუ თავისი ხალხის ფართო მასებისგან ექნებოდა ზურგი მყარად გამაგრებული, თუმცა ისეც არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხალხის გამო აკეთებდა ამ ყველაფერს.

საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს პროფესორი ემზარ ჯგერენაია, რომელიც ცნობილი გერმანელი სოციოლოგის, მაქს ვებერის ორი კონცეპტის: მრწამსის ეთიკისა და პასუხისმგებლობის ეთიკის მიხედვით, ცდილობს, შეაფასოს შევარდნაძის პოლიტიკური მოღვაწეობა. მრწამსის ეთიკის მიმდევარი პოლიტიკოსისთვის მთავარი პრინციპია: „სამყარო რომც დაინგრეს, ჩემი ღირებულებები უნდა განხორციელდეს“. მათ რიცხვს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ჯიროლამო სავონაროლა ან ადოლფ ჰიტლერი. ასეთი პოლიტიკოსები დიდწილად კარგავენ რეალობის აღქმის უნარს და პოლიტიკურ კარიერას კრახით ასრულებენ. რაც შეეხება, პასუხისმგებლობის ეთიკის მიმდევარ პოლიტიკოსს: „ის ყოველთვის აანალიზებს საჭადრაკო დაფაზე ფიგურების განლაგებას. მისი მთავარი კითხვებია: რა შეიძლება მოჰყვეს ჩემს ქმედებას? როგორ მოიქცევიან სხვები, თუ მე ამ ნაბიჯს გადავდგამ? ჩემი ქმედება ზიანს ხომ არ მოუტანს სხვებს? მაგრამ არა! ედუარდ შევარდნაძე სინამდვილეში პრაგმატიკოსი და ეთიკებისაგან თავისუფალი ადამიანი იყო. მას არ ჰქონდა „უკვდავი ცოდნა“, არ ცნობდა უკვდავ სახელებს, მისი ღმერთი იყო დრო, ხოლო მისი დევიზი – „ახლა ასეა საჭირო!“! ძალაუფლების თეორეტიკოსთა „ჭკუის სწავლებანი“ (თუკი მათი არსებობის შესახებ საერთოდაც იცოდა) მას უსათუოდ ირონიულს თუ არა, მოწყალე ღიმილს მაინც მოჰგვრიდა; ღიმილს, რომელიც მილიარდერს აქვს ხოლმე, როცა ეკონომიკის პროფესორის ლექციას ისმენს“ (ჯგერენაია 2017: 12).

საბოლოოდ იმის თქმა მსურს, რომ ედუარდ შევარდნაძემ ქვეყანაში განვითარებული პროცესი ზუსტად შეაფასა და ხალხის ნება-სურვილი სათავისოდ გამოიყენა, რამაც საშუალება მისცა კრემლის დირექტივები შეეცვალა, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად რაც უნდა ითქვას, გახლავთ ის, რომ 1978 წლის 14 აპრილს ყველაფრის მშვიდობიანად და უსისხლოდ დასრულებაში დიდი წვლილი ედუარდ შევარდნაძეს მიუძღვის. მისი სწორი ქმედებით, საბოლოოდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის იდეოლოგიების გარდა, ყველა გამარჯვებული დარჩა, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყანა და ამ ქვეყნის მომავალი, ახალგაზრდობა.

ერთიც უნდა ვთქვათ, რომ შევარდნაძემ ძალიან კარგად იცოდა ახალგაზრდებთან მიდგომა. მიუხედავად, რიგ საკითხებზე კატეგორიულობისა, ცხარე კამათისა, იგი ყოველთვის ინტერესდებოდა და ისმენდა მათ მოსაზრებებს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ის კარგად იაზრებდა და ათვისებდა აზრებს, მომავალი თაობის როლს და მნიშვნელობას, როგორც თავისი პოზიციის სიმყარისთვის, ასევე ქვეყნის წინსვლისთვის. „ბოლოს ვთქვი, რომ ცენტრალური ბიუროს წევრებმა ვითათბირეთ (არავითარი თათბირი არ ყოფილა) და მივიღეთ გადაწყვეტილება: ქართული ენა ინარჩუნებს სახელმწიფო ენის სტატუსს. ...ცეკას მდივნებმა, სოლიკო ხაბეიშვილმა და ჯუმბერ პათიაშვილმა, გამოიტანეს მიკროფონი და დადგეს უზენაესი საბჭოს აივანზე. გამოვედი და ყველას მივმართე: შვილებო, ნუ დელავთ, ყველაფერი კარგად არის, ჩვენ ავიღებთ პასუხისმგებლობა ჩვენს თავზე. კონსტიტუციის ეს მუხლი იქნება ისეთივე, როგორიც ადრე იყო. დედაენა გადარჩა! მას სახელმწიფო სტატუსი ექნება!“ (შევარდნაძე 2018: 91).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკითხის ჩემუელი ხედვა რომ უფრო გასაგები იყოს, მინდა აღვნიშნო ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. ქართველები 1978 წელს იცავდნენ ორ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას: ერთი ეს არის თვითიდენტობა, რომლის დაკარგვაც ნიშნავს საკუთარი თავის დაკარგვას და მეორე, აზროვნების თავისუფლების დაცვა, იმიტომ რომ ენის პრობლემა აზროვნების პრობლემაა. თუკი ჩვენ არ ვგრძნობთ თავს ქართველებად, ვერ ვმეტყველებთ და ვაზროვნებთ საკუთარ ენაზე, ბუნებრივია, ეს არის დასასრულის დასაწყისი. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა, ერი მიიყვანოს სავალალო შედეგამდე, რაც გამოიხატება მის ასიმილირებაში სხვა ერთან და საბოლოოდ გაქრობაში.

გაუთვისებლობიერებლად ბევრმა, შესაძლოა, ყურადღება არ მიაქციოს ერის განვითარებაში ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა უშუალოდ ენასთან დაკავშირებული მეტყველება და აზროვნება, მაგრამ, აქ უნდა გავიხსენოთ, ძვ.წ. I საუკუნეში მოღვაწე, რომაელი პოლიტიკოსი და მოაზროვნე, მარკუს ტულიუს ციცერონი, რომელსაც ეკუთვნის გამოთქმა: „იცხოვრო, ნიშნავს იაზროვნო“.

„ენაში დაღუპილია ხალხის კოლექტიური გამოცდილება. იგი ნაციონალური მსოფლხედვის გამოხატულებაა. ეროვნულ მიმართებათა უფაქიზესი გამა, უკიდევანო სამყაროს დამტევია. ის, რაც ენით არ გამოთქმულა, ადამიანური ცნობიერებისთვის არარსებელია ან დაკარგული, მარადი წყვდიადით მოცული. ენა არის სამყაროს ცნობიერებაში არსებობის ფორმა. „ენობრივი საზრისი“ უკავშირდება „ერის საზრისს“ (სონდულაშვილი, სიგუა 2012: 5).

ენა სოციალური ფენომენია, რადგან სოციალური ურთიერთობების გარეთ მისი დაუფლება შეუძლებელია. ადამიანს დაბადებიდანვე არ აქვს მეტყველების ნიჭი. პატარა ბავშვი ხომ ლაპარაკს მხოლოდ მაშინ იწყებს, როცა ახერხებს ისწავლოს იმ ფონეტიკური ბგერების გამეორება, რომლებსაც გარშემომყოფები გამოსცემენ და აზროვნების უნარის წყალობით მათ სწორ მნიშვნელობას ანიჭებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ასეთი აზრიც გამოვთქვათ, ენა გა-

მოხატავს ერის იდენტობას. როდესაც ერს ენას ართმევენ, მას ართმევენ ამ იდენტობის გამოხატვის შესაძლებლობას.

დასკვნის სახით აუცილებლად უნდა ვთქვათ, რომ 1978 წლის 14 აპრილი იქცა სიმბოლურ თარიღად. როდესაც ვსაუბრობთ 14 აპრილის მნიშვნელობაზე, ყველაზე მთავარი არის ის, რომ ამ დღემ ხელი შეუწყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობას, რაც ასეთი მნიშვნელოვანი იყო ქართული ერთობის სამომავლო განვითარებისათვის, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. თოთხმეტმა აპრილმა გააცოცხლა და გააღვივა ის განმათავისუფლებელი მუხტი, რომელიც არსებობდა მაშინ. ამის წყალობით კი მივედით იქამდე, რომ საქართველო გახდა დამოუკიდებელი ქვეყანა, და ამ დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე, 1990 წლის 12 აპრილს, 14 აპრილი გამოაცხადეს დედაენის დღედ. ეს თარიღი იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ ის არის ერთადერთი გამოსვლა საბჭოთა საქართველოს ისტორიაში, რომელიც არ დასრულებულა მსხვერპლით. ხალხმა საოცარი ერთსულოვნება აჩვენა და ეს ყოველთვის ანგარიშგასაწევი ფაქტორი იყო, მათ შორის საბჭოთა კავშირშიც კი.

აღნიშნული სტატიის მიზანია სტუდენტ-ახალგაზრდობასა და ისტორიული თემატიკით დაინტერესებულ საზოგადოების ფართო წრეს დაანახოს, თუ როგორ მოხერხდა გასული საუკუნის 70-იან წლებში, ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში, ქართველი ერის კონსოლიდაციის წყალობით მშობლიური ენის სტატუსის შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ დღეს გვაქვს „დედა ენის“ დღე, 14 აპრილი, ასევე ძეგლი, რომელიც დავუდგით ამ მართლაც ეროვნულ საუნჯეს, თითქოს სათანადოდ ვერ ვაფასებთ და ვუფრთხილდებით, ქართული ენის სახით იმას, რაც ერის თვითმყოფადობის ნიშანი და საზომია.

რა თქმა უნდა, ენა ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იცვლება და მდიდრდება ახალი სიტყვებით, მით უფრო ქართულ რეალობაში, სადაც კარგად მოგვეხსენება, რომ ჩვენი კულტურა ახლოს იყო ბერძნულ-რომაულ და სპარსულ კულტურებთან. აქედან გამომდინარე, ქართულში შემორჩენილია ამ ენებიდან შემოსული სიტყვები და ეს ერთგვარად ბუნებრივ პროცესად შეგვიძლია, ჩავთვალოთ. დღესაც, ენა, რომ გამდიდრდეს და განვითარება განაგრძოს, აუცილებელია, საერთაშორისო სიტყვების სესხება და შემოტანა, თუმცა საჭიროა ზომიერება და არავითარ შემთხვევაში გადაჭარბება. როდესაც შენს ენაშიც მოგეპოვება უცხოური სიტყვის შესატყვისი, ესე იგი აუცილებელი არ არის ბარბარიზმებით ვისარგებლოთ!

საქართველოს და ქართველი ხალხის ისტორია მუდმივი ბრძოლაა, ახლო თუ შორეული მეზობლის, მეგობრების თუ მტრების, პოლიტიკურ-კულტურულ და ეკონომიკურ გავლენასთან, რაც, რა თქმა უნდა ერის, ყოფა-ცხოვრებაზეც აისახებოდა. დღესაც, მიუხედავად, 21-ე საუკუნისა, უფრო საჭიროა, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ თავდაუზოგავი და შეუპოვარი ფიზიკურ-იდეოლოგიური ბრძოლით მოახერხა. გავიხსენოთ, რას გვეუბნებოდა ილია ჭავჭავაძე: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და

ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრება, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“. ქართული ენა ყოველთვის იყო, არის და მომავალშიც იქნება ქართული საზოგადოების საყრდენი. ამიტომ მეტად უნდა დავაფასოთ, გავუფრთხილდეთ და გავათვითცნობიეროთ ის ფენომენი, რასაც ქართული ენა ჰქვია.

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- ▶ **ბარამიძე 1978:** ბარამიძე ალექსანდრე, საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, ჟურნ. „ცისკარი“, 4 აპრილი, №4, 1978;
- ▶ **ბარბაქაძე 2011:** ბარბაქაძე ცირა, ვინფრიდ ბოედერი და ცირა ბარბაქაძე (დიალოგი, 2002 წელი, „ჩვენი მწერლობა“) 2011. ხელმისაწვდომია: <https://semioticsjournal.wordpress.com/2011/03/26/%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%93-%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%91-2> (ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023);
- ▶ **ბაქანიძე 2018:** ბაქანიძე ანა, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2018;
- ▶ **ბაქრაძე 2005:** ბაქრაძე აკაკი, თხზულებანი, ტომი IV, თბილისი, გამომცემლობა ნეკერი, ლომისი, 2005;
- ▶ **ბაქრაძე 2006:** ბაქრაძე აკაკი, 14 აპრილის ქრონიკა, ჟურნ. ჩვენი მწერლობა, 14 აპრილი, №8, 2006;
- ▶ **ბოედერი 2005:** ბოედერი ვინფრიდ, ფიქრები ქართული ენის წარსულსა და აწმყოზე, გერმანულიდან თარგმნა რეზო კიკნაძემ, საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე, თბილისი, გამომცემლობა „არტე“, 2005;
- ▶ **გავაშელი 1975:** გავაშელი ირაკლი, საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკა, ჟურნ. „ჩვენი დროშა“, მაისი, №83, 1975;
- ▶ **გაფრინდაშვილი 2018:** გაფრინდაშვილი გურამ, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, გამომცემლობა არტანუჯი, 2018. გვ. 73-77;
- ▶ **გრიგალაშვილი 2018:** გრიგალაშვილი ნოდარ, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018, გვ. 103-106;
- ▶ **კონსტიტუციის პროექტის შესახებ 1978:** კონსტიტუციის პროექტის შესახებ, გაზ. „კომუნისტი“, 23 მარტი, №69, 1978;
- ▶ **ნატროშვილი 1978:** ნატროშვილი გიორგი, სიტყვა ახალ კონსტიტუციაზე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 21 აპრილი, №17, 1978;
- ▶ **რობაქიძე 1985:** რობაქიძე მ. სომხური ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 9, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1985;

- ▶ **საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია 1978:** საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია, გაზ. „კომუნისტი“, 24 მარტი, №70, 1978;
- ▶ **საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის... 1978:** საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებელ კომისიაში, გაზ. „კომუნისტი“, 23 მარტი, №69, 1978;
- ▶ **სონდულაშვილი 2012:** სონდულაშვილი ავთანდილ, ქართული ენა და ეროვნული უმცირესობა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012; დამოწმებული ციტატის ავტორი სოსო სიგუა, ალექსანდრე ქვეყნის ძიება, თბილისი, 1984;
- ▶ **ფილონოვიჩი 1975:** ფილონოვიჩი ი. საბჭოთა ხალხი ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობაა, გაზ. „კომუნისტი“, 4 თებერვალი, №29, 1975;
- ▶ **ქართველ მწერალთა ხმა 1978:** ქართველ მწერალთა ხმა, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 31 მარტი, №14, 1978;
- ▶ **შევარდნაძე 2018:** შევარდნაძე ედუარდ, ფიქრი წარსულსა და მომავალზე, მემუარები, მეორე გამოცემა, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2018;
- ▶ **შველიძე 2018:** შველიძე დიმიტრი, 1978 წლის 14 აპრილის დღე საქართველოს ისტორიაში, წიგნიდან: 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018, გვ. 415-428;
- ▶ **შველიძე 2021:** შველიძე დიმიტრი, საქართველოს უახლესი ისტორია (1917-2012), თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2021;
- ▶ **ჩხარტიშვილი მანია 2018:** ჩხარტიშვილი მარიამ, მანია ქეთევან. ქართული იდენტობის ენობრივი მარკერი პრემოდერნულ ხანაში და ნაციონალური კონსოლიდაციის ეპოქაში, 2018, გვ. 472-483.
ხელმისაწვდომია: https://www.researchgate.net/publication/325386413_Linguistic_Marker_of_Georgian_Identity_in_Pre-modern_Era_and_Time_of_National_Consolidation_kartuli_identobis_lingvisturi_markeri_premodernul_xanashi_da_nacionaluri_konsolidaciis_epoqashiin_Georgian_s (ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023);
- ▶ **ჩხეიძე 2018:** ჩხეიძე თამარ, 1978 წლის 14 აპრილი, ზეპირი ისტორიები და სხვა მასალები, ტექსტები ჩაიწერა და წიგნი გამოსაცემად მოამზადა ანა ბაქანიძემ, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2018, გვ. 234-241;
- ▶ **ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის... 1971:** ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება 1971 წლის 30 მარტს, გაზ. „კომუნისტი“, 1-ლი აპრილი, №75, 1971;
- ▶ **ძიძიგური 1986:** ძიძიგური შ., ქართული ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი 10, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, 1986, გვ. 475-480;
- ▶ **წულეისკირი 1989:** წულეისკირი ნოდარ, დადგენილება №427 ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესახებ, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1-ლი სექტემბერი, №35, 1989;
- ▶ **ჯანგიძე 1975:** ჯანგიძე ვ., აზერბაიჯანული ენა, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტომი I, მთავარი რედაქტორი ირაკლი აბაშიძე, თბილისი, სპეციალური სამეცნიერო რედაქცია, 1975;

- ▶ **ჯგერენაია 2017:** ჯგერენაია ემზარ, ZOON POLITIKON – შტრიხები ედუარდ შევარდნაძის პორტრეტისათვის, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები ტ. VII, მიმართვები, ინტერვიუები, იდეის ავტორები: პროფ. ემზარ ჯგერენაია, დოქტორი დორის ფოგლი, თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017. გვ. 9-23;
- ▶ **Конституция Азербайджанской ССР 1957:** Конституция (основной закон) Азербайджанской Советской Социалистической Республики, Баку, 1957. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია (29.11.2023);
- ▶ **Конституция Армянской ССР 1939–1969:** Конституция (основной закон) Армянской Советской Социалистической Республики, Ереван, 1939–1969. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> ბოლოს დამოწმებულია (29.11.2023);
- ▶ **Конституция Туркменской ССР 1928:** Конституция (основной закон) Туркменской Советской Социалистической Республики, 1928. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> (ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023);
- ▶ **Конституция Туркменской ССР 1936:** Конституция (основной закон) Туркменской Советской Социалистической Республики, 1936. ხელმისაწვდომია <https://constitution.garant.ru/> (ბოლოს დამოწმებულია 29.11.2023);
- ▶ **Ленин 1973:** Полное собрание сочинений В. И. Ленина, 5-е издание, т. 24, Москва, Издательство политической литературы, 1973;

Zura Javakhishvili

MA Program in History of Georgia, TSU

LINGUISTIC IMPORTANCE AS AN INDICATOR OF GEORGIAN IDENTITY DURING THE SOVIET ERA (ON THE EXAMPLE OF APRIL 14, 1978) (SUMMARY)

In modern humanities and social sciences, a lot of space is given to the study of identity. As you know, there are different theoretical currents regarding the understanding of this phenomenon, and each of them presents its own vision of solving the problem. Recently, identical studies within the framework of various theories have become quite relevant in Georgia, and the Georgian scientific community is well aware of the basic principles of well-known theories, such as: ethno-symbolism, modernism).

Since the topic we have been discussing “Linguistic importance as an indicator of Georgian identity, during the soviet era (on the example of April 14, 1978)” has referred to the era of modernity, different types of sources can be used to study it. But the choice of the source type is determined primarily by the chronological framework of the period under study. Since we are dealing with the modern period of Georgia’s unity and originality, special importance is attached to printed publications, books and articles

written on scientific topics, memoirs of famous public and political figures. Therefore, in my essay, articles from the newspaper "Tsiskari", "Literary Georgia" and "New York Times" are discussed. Also memories of famous public figures and eyewitnesses of this period. Also articles, – related to the problem of ethno-symbolism.

The role of language is not only in the transmission of a message, but above all in the internal organization of what underlies this message. The world of native speakers of this language is being formed.

The image of the national-cultural world is primary in relation to the linguistic one. It is richer and deeper than the corresponding language. However, it is the language that realizes, verbalizes the image of the national-cultural world, preserves it and passes it on from generation to generation. Language does not capture everything that exists in the national vision of the world, but it can describe it.

After Sovietization, the Georgian people were constantly faced with innovations and changes. Georgia started a new life as part of the Soviet empire, which was very difficult, because in a number of cases it was aimed at assimilation of Georgians with the Russian people, which the empire tried to implement. The most obvious example of this was April 14, 1978, but as a result of the consolidation of the Georgian nation, it became possible to protect the language. That was very important for the further development of Georgian unity, because the current language expresses the identity of the nation. When the nation is deprived of its language, it is deprived of the opportunity to express its identity.